

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/01

ქ. თბილისი

26 იანვარი 2026

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-04/70 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის დავით ხვედელიძის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 26 იანვრის №01-05-02/01 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 15 ივნისის №01-05-04/70 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) წესის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.
2. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობაში არ უნდა მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის წევრი ვალდებულია, განაცხადოს არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით.
3. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრების ჩართულობით, პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ადგენს ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
4. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვალდებულია, შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
5. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვერიფიკაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ ვერიფიკაციის დასკვნას წარუდგენს ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელს.
6. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ციკლის დასრულების შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალურ დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს.
7. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.“.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
2026 წლის 26 იანვრის №01-05-04/01 დადგენილებით

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის წესი (შემდგომში - „წესი“) არეგულირებს უნივერსიტეტში პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაციის პროცედურებს.
2. უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში „პროგრამა“) ფარგლებში, პროფესიული სტუდენტის შეფასების ვერიფიკაცია (შემდგომში - „ვერიფიკაცია“) არის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი და ხორციელდება სამი მიმართულებით: პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობას, სამართლიანობას და ობიექტურობას.
4. პროფესიული სტუდენტის შეფასებისას გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამით.
5. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესის სქემა - პასუხისმგებელი, მონაწილე პირები და ვერიფიკაციის ეტაპები განისაზღვრება დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. ვერიფიკაციის პროცესის დაგეგმვა და წარმართვა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, ვერიფიკატორი დარგის მიმართულებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი, პროფესიული სტუდენტი. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი.
2. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობაში არ უნდა მონაწილეობდეს პირი, რომელსაც აქვს ინტერესთა კონფლიქტი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის წევრი ვალდებულია, განაცხადოს არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

3. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრების ჩართულობით, პროგრამაზე სასწავლო პროცესის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში ადგენს ვერიფიკაციის პროცესის სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას, მტკიცებულებების ვერიფიკაციას.
4. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვალდებულია, შემუშავებული გეგმის შესაბამისად უზრუნველყოს თავისი ფუნქციების შესრულება, საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით მოდულების რაოდენობიდან გამომდინარე, მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში.
5. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფი ვერიფიკაციის სამუშაოების დასრულების შემდეგ ვერიფიკაციის დასკვნას წარუდგენს ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელს.
6. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის ხელმძღვანელი ვერიფიკაციის ციკლის დასრულების შემდეგ განხორციელებული საქმიანობის შესახებ დეტალურ დასკვნას წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრის უფროსს.
7. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული იქნება პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.

მუხლი 3. ვერიფიკაციის პროცედურა

1. ვერიფიკაციის პროცედურა ხორციელდება შემდეგი მიმართულებებით: შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
2. ვერიფიკაციის პროცედურა დაფუძნებულია დოკუმენტური კვლევის მოდელზე, რაც გულისხმობს არსებული შეფასების ინსტრუმენტების და მტკიცებულებების შესწავლას. ვერიფიკაციის პროცესი არ გულისხმობს ყველა სტუდენტის შეფასების დოკუმენტური მასალის შესწავლას, ვერიფიკაციის ჯგუფი წინასწარგანსაზღვრული რისკ-ფაქტორების ანალიზის საფუძველზე მოახდენს შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტების, პროცესისა და მტკიცებულებების შერჩევას.
3. პროფესიული სტუდენტის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
   ა) ვალიდურობა;
   ბ) სანდოობა;
   გ) გამჭვირვალეობა;
   დ) სამართლიანობა და ობიექტურობა.
4. შეფასების სისტემა ვალიდურია, თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე, შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.

5. შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.
6. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, თუ შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა სტუდენტისთვის.
7. შეფასების სისტემა სამართლიანი და ობიექტურია, თუ შეფასების პროცესი ორგანიზებულია იმგვარად, რომ ის პროფესიულ სტუდენტს საშუალებას აძლევს, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები (მათ შორის, შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე, შეფასებისას ყველა თანაბარ პირობებში არის ჩაყენებული.
8. რისკების სისტემა ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; ახალი პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; შეფასების ინსტრუმენტში პრაქტიკული დავალებების სიმრავლე; ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; სხვა ობიექტური გარემოებები, გაუთვალისწინებელი რისკები. თითოეული რისკ-ფაქტორი ფასდება უმნიშვნელო, მნიშვნელოვან და კრიტიკულ რისკ-ფაქტორად.
9. ვერიფიკაციის პროცესში ჩართული პირები პასუხისმგებლები არიან ისეთ პროცედურებზე როგორიცაა:
   ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა;
   ბ) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;
   გ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;
   დ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებსა და რეკომენდაციებზე;
   ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.
10. ვერიფიკაციის პროცესის შემადგენელი პროცედურები და შესაბამის პროცედურაზე პასუხისმგებელი და მონაწილე პირები განისაზღვრება ვერიფიკაციის პროცესის სქემით (დანართი №1).

მუხლი 4. ვერიფიკაციის დასკვნა

1. ვერიფიკაციის ჯგუფი, პროცესის დასრულების შემდეგ ადგენს ვერიფიკაციის დასკვნის პროექტს დანართი 2-ის შესაბამისად.
2. ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის ორგანიზებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
3. ვერიფიკაციის დასკვნა უნდა იყოს რელევანტური და სრულყოფილი. დასკვნაში ნათლად უნდა იკვეთებოდეს თუ რამდენად იყო/არ იყო პროფესიული სტუდენტების

შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური; იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი.

4. დასკვნის პროექტის განხილვისას ხორციელდება შეთანხმება ფაქტობრივ გარემოებებზე და რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში), რის შემდეგ ვერიფიკაციის ჯგუფი უზრუნველყოფს ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენას დანართი №2-ის შესაბამისად.
5. ვერიფიკაციის დროს გამოვლენილი რეკომენდაციების დადგენის შემდეგ ხდება შეჯამებული პოზიციის გაცნობა პროგრამის განხორციელებაში ჩართული და დაწესებულების დაინტერესებული პირებისათვის.
6. ვერიფიკაციის პროცესის ჯგუფის მუშაობის შედეგები გამოყენებული იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და პროგრამების განვითარების მიზნით.
7. ვერიფიკაციის შედეგები გამოყენებული უნდა იქნება უნივერსიტეტში პროფესიული სწავლების მიმართულებით, სასწავლო პროცესის/პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.
8. ვერიფიკაციის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განვითარებისათვის.